



განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და
მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

The International Institute for Education
Policy, Planning and Management

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების
სტრატეგიული განვითარება საქართველოში

თბილისი 2013

შინაარსი

შესავალი	3
I. არსებული მდგომარეობის ანალიზი	6
1.1 უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება	6
1.2 უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა.....	8
1.3 სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია	11
1.4 უმაღლესი განათლება და დასაქმება.....	14
1.5 ხარისხის უზრუნველყოფა.....	17
II. ძირითადი პრობლემები.....	21
III რეკომენდაციები	23
დანართი I საექსპერტო შეფასებები	27
დანართი II ინტერვიუები.....	27
დანართი III ფოკუს ჯგუფები	28

შესავალი

ხარისხიანი უმაღლესი განათლება თანამედროვე, კონკურენტუნარიანი და სამართლიანი სახელმწიფოს შენების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოს მომავალი განვითარება დიდ წილად არის დამოკიდებული სწორედ განათლების ხარისხსა და მის ხელმისაწვდომობაზე.

უმაღლესი განათლების სისტემის სისტემური რეფორმა, რომელიც 2004 წელს დაიწყო, ძველი, ჯერ კიდევ საბჭოთა სისტემის ნარჩენების დემონტაჟსა და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას ისახავდა მიზნად. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, თითქმის 10 წლის შემდეგ კვლავინდებურად აქტუალურია უმაღლესი განათლების რეფორმის საკითხი, მაგრამ რეფორმის ახალი ტალღის დაწყებამდე აუცილებელია სისტემაში ამ პერიოდამდე მიმდინარე ცვლილებების შეფასება და ანალიზი, არსებული მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება ისევე როგორც ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა და ჩართულობა. რეფორმის განხორციელებას წინ უნდა უძღოდეს თვალსაჩინო მონაცემებზე დაფუძნებული სარეფორმო პოლიტიკის შემუშავება.

მიმდინარე მოვლენებმა ცხადყო, რომ მკაფიო ხედვის არარსებობა და სარეფორმო პროცესების კოორდინაციის ნაკლებობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მდგრადი შედეგების მიღწევას. კანონმდებლობისა და მმართველ სტრუქტურებში პერსონალიების მუდმივი ცვლილება (საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ 2004 წლის დეკემბრიდან 2013 წლის ოქტომბრამდე 500-მდე ცვლილებაა შესული; ამავე პერიოდში გამოიცვალა განათლებისა და მეცნიერების 8 მინისტრი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 5 დირექტორი) ხშირად უფრო მყისიერ პოლიტიკურ ინტერესებს ასახავდა, ვიდრე სისტემის განვითარების პრიორიტეტებს, ეს კი, თავის მხრივ სტუდენტებისა და პროფესორის უკმაყოფილებასა და დემოტივაციას იწვევდა.

სისტემის განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფასა და კონსენსუსის საფუძველზე საერთო პრინციპებზე შეთანხმებას. აქამდე არსებულ top down (ზემოდან ქვემოთ) მიდგომას უნდა დაუპირისპირდეს დაინტერესებული მხარეების მხრიდან წამოსული ინიციატივები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეფორმის პროცესებში აკადემიური, პროფესიული და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა და ამ საკითხებზე მრავალმხრივი დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება.

სწორედ ამიტომ 2013 წლის ივნისში შეიქმნა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ჯგუფი, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, ქვეყნის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიცირებისა და სექტორის გარდაქმნის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისათვის ერთობლივი პროექტის ფარგლებში დახმარება გაუწიოს სახელმწიფო სტრუქტურებს ფართო საზოგადოებისა და დაინტერესებული ჯგუფების

მობილიზებაში, ხოლო, მეორე მხრივ, შეაფასოს და გაანალიზოს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა, გამოკვეთოს ძლიერი და სუსტი მხარეები.

დასახული მიზნების რეალიზებული იქნა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში – რეფორმის განხორციელების მხარდაჭერი პლატფორმის ჩამოყალიბება“ ფარგლებში.

პროექტის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:

- განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;
- საერთაშორისო განათლების ცენტრი;
- ღია საზოგადოების ფონდების აკადემიური მხარდაჭერის რეგიონული პროგრამა;
- ტემპუსის ეროვნული ოფისი.

გარდა სიტუაციური ანალიზისა, ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტი, ასევე, ითვალისწინებს:

- უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის ახალი კონცეფციის განხორციელების პრაქტიკული მექანიზმების ჩამოყალიბების მხარდაჭერას;
- სარეფორმო პროცესებში დაინტერესებული ჯგუფების, სამოქალაქო და პროფესიული საზოგადოებების მაქსიმალურ ჩართულობას;
- საქართველოს უმაღლესი განათლებისა და კვლევის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებზე საზოგადოებრივი განხილვებისა და დებატების ინიცირებას.

პროექტის ფარგლებში მობილიზებული იქნა ქვეყნის უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაში არსებული საექსპერტო პოტენციალი და დაიწყო მუშაობა საქართველოს უმაღლესი განათლებისა და კვლევის განვითარების ტენდენციების განსაზღვრისთვის. კერძოდ, თემატური სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტები (დანართი I) შემდეგი სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით:

- უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება (თ. ზაალიშვილი);
- უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა (ლ. ჩახაია);
- სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია (ლ. ბაქრაძე);
- უმაღლესი განათლება და დასაქმება (თ. ბრეგვაძე);
- ხარისხის უზრუნველყოფა (ი. დარჩია).

ხუთივე სტრატეგიულ მიმართულებაში კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

- ე.წ. Desk Study-ის მეთოდითა და მეორადი მონაცემების საფუძველზე განხორციელებულ სიტუაციურ ანალიზს (ლიტერატურის საერთო სია მოიცავს 192 წყაროს, მათ შორის,

საქართველოსა და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, ადგილობრივი და საერთაშორისო რელევანტური კვლევების შედეგებს);

- არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზს. საქართველოსათვის რელევანტურ საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებასთან კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისობის დადგენას;
- გადაწყვეტილებების მიმღებებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან, დარგის ექსპერტებსა და რეფორმების სახელმწიფო კომისიის წევრებთან ჩალრმავებულ ინტერვიუებს (სულ 13 ინტერვიუ; დანართი II);
- სტუდენტებთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებსა და ავტორიზაცია/აკრედიტაციის ექსპერტებთან შემდგარ ფოკუს ჯგუფებს (დანართი III);
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას; საქართველოს მსგავსი ქვეყნებისა და რეგიონების გამოცდილების შესწავლას;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას კანონში ცვლილებებისა და საჭირო ჩარჩო დოკუმენტების მითითებით.

წინამდებარე დოკუმენტი არ წარმოადგენს რეფორმის გეგმას. ეს არის ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სამომავლო სტრატეგიის შემუშავებას.

I. არსებული მდგომარეობის ანალიზი

1.1 უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ლისაბონის 2007 წლის დეკლარაცია განსაზღვრავს ავტონომიის ოთხ ძირითად განზომილებას: 1. ორგანიზაციულ ავტონომიას; 2. ფინანსურ ავტონომიას; 3. კადრებით უზრუნველყოფის ავტონომიას; 4. აკადემიურ ავტონომიას. ამიტომ მიზანშეწონილია საქართველოს უნივერსიტეტების ავტონომიის შედარებითი ანალიზი განხორციელდეს და სტრატეგიული (გრძელვადიანი და საშუალოვადიანი/მოკლევადიანი) მიზნები და ამოცანები განისაზღვროს აღნიშნულ ოთხ ჭრილში.

ორგანიზაციული ავტონომიის სფეროში უნივერსიტეტებს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალი ავტონომია აქვთ როგორც რექტორის არჩევის (რაც აკადემიური თავისუფლების ერთ-ერთ არსებით გარანტიადაც განიხილება), მისი შერჩევის კრიტერიუმების, საქმიანობის ვადისა და გათავისუფლების თვალსაზრისით, ასევე, აკადემიური სტრუქტურების განსაზღვრის უფლებამოსილების მხრივ. უნივერსიტეტებს, ასევე, შეზღუდვების გარეშე შეუძლიათ როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო იურიდიული პირების შექმნა. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ სსიპ-ის ფორმით დაფუძნებული უნივერსიტეტები. უნივერსიტეტების ორგანიზაციული ავტონომიის სუსტ მხარედ გვევლინება უნივერსიტეტების შეზღუდული ავტონომია მართვის ორგანოებში (აკადემიურ საბჭოში) გარე წევრების ჩართვის თვალსაზრისით.

რეალურად, რექტორის არჩევის სფეროში უნივერსიტეტების მაღალი ავტონომია ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტების ეფექტურ თვითმმართველობას და, ფაქტობრივად, რექტორის არჩევის პროცედურა, უმეტეს შემთხვევაში, არის რექტორის დანიშვნის პროცედურა. უნივერსიტეტების დამოუკიდებლობა აკადემიური სტრუქტურების შექმნის სფეროში, სუსტი სტრატეგიული დაგეგმვისა და არასრულყოფილი ანგარიშვალდებულების სისტემის პირობებში ვიწრო პოლიტიკური და კერძო ინტერესების ინსტრუმენტად გვევლინება. რეალურად, დუალური მართვის სისტემის ფუნქციონირებაც ფორმალურია და უნივერსიტეტები ისევ ავტორიტარული მართვის პირობებში ფუნქციონირებენ.

ფინანსური ავტონომიის სფეროში უნივერსიტეტებს (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) მაღალი ავტონომია აქვთ მხოლოდ საჯარო დაფინანსების ნამატის შენარჩუნებისა და სესხის აღების (გარდა სსიპ-ებისა) უფლებამოსილების თვალსაზრისით. არსებითადაა შეზღუდული სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტების მიერ სწავლის საფასურის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა, ხოლო კერძო უნივერსიტეტების უფლებები ამ მხრივ შეუზღუდავია. სწავლის საფასურის განსაზღვრისა და სახელმწიფო დაფინანსების არსებული წესი ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტების შედეგებზე ორიენტირებულ ფუნქციონირებას. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებებიც ზღუდავს (შეთანხმების საჭიროება სამინისტროებთან) უნივერსიტეტების, თუმცა მაღალი ფინანსური

ავტონომიის მქონე ევროპის უნივერსიტეტების მახასიათებლების გათვალისწინებით ამ სახის რეგულაცია არ განიხილება არსებით შეზღუდვად.

საყურადღებოა ის რისკები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო გრანტის მოპოვების მექანიზმს. ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელი (უნივერსიტეტს არ შეუძლია სტუდენტების დამოუკიდებლად შერჩევა და პროცესი მთლიანად გატანილია უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ) ეწინააღმდეგება უნივერსიტეტების ავტონომიურობის პრინციპს, ასევე, რისკის შემცველია სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტებში განსაზღვრული სპეციალობების დაფინანსება ერთიანი წესის შემუშავებისა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირების გარეშე.

სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და კერძო უნივერსიტეტების ვაუჩერული დაფინანსების მოქმედი მოდელი უნივერსიტეტების ავტონომიის შეზღუდვასთან ერთად უმაღლესი განათლების სფეროში თავისუფალი კონკურენციის შემაფერხებელ ფაქტორადაც გვევლინება.

პერსონალით უზრუნველყოფის სფეროში უნივერსიტეტებს მაღალი ავტონომია აქვთ როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის, გათავისუფლებისა და დაწინაურების, ისე ხელფასების განსაზღვრის (გარდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული თანამდებობებისთვის კანონით დადგენილი განაკვეთებისა) თვალსაზრისით. თუმცა, უნივერსიტეტების შესაბამისი ფართო უფლებები, რიგ შემთხვევებში, არაეფექტური და არასამართლიანია. ამ პროცესს ხელს უწყობს უნივერსიტეტების მიერ შემუშავებული აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის დებულებები, რომლებიც ვერ ქმნიან კანონით განსაზღვრული მოთხოვნების რეალიზების გარანტიებს. კერძოდ, კანონის მოთხოვნა ასეთია: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ... თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვ. ... უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას.“ ყოველივე ეს არსებით უარყოფით გავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხზე და, საბოლოოდ, მნიშვნელოვნად ამცირებს ხარისხიანი განათლების მიღების უფლების გარანტიებს.

აკადემიური ავტონომიის სფეროში უნივერსიტეტებს (როგორც სახელმწიფოს, ისე კერძოს) არსებითად შეზღუდული აქვთ დამოუკიდებლობა სწავლების ენის, სტუდენტთა რაოდენობის, აბიტურიენტებისადმი (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის პროგრამებზე) წაყენებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების შეფასების წესის განსაზღვრაში. გარდა ამისა, მათ არ აქვთ აბიტურიენტთა შეფასების (გამოცდების ჩატარების) პროცედურის განხორციელების უფლებამოსილება. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ავტონომიურობის პრინციპს და მრავალ რისკს ქმნის, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სისტემის შედეგებზე ორიენტირებული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე. უნივერსიტეტების ავტორიზაცია/აკრედიტაციის მოქმედი მექანიზმი არა ხარისხის უზრუნველყოფის, არამედ უფრო უნივერსიტეტების საქმიანობაზე სახელმწიფო გავლენის განხორციელების მექანიზმია. ასეთ

პირობებში განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ აძლევს უნივერსიტეტებს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს არჩევის (საერთაშორისო მასშტაბით) შესაძლებლობას.

უნივერსიტეტს/უნივერსიტეტებს კანონმდებლობით არ აქვთ განსაზღვრული სამეცნიერო მეთოდოლოგიის საფუძველზე (გარდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშისა) ანგარიშვალდებულების სისტემის შექმნა. შესაბამისად, მათ არ აქვთ დაკისრებული საზოგადოების (მ.შ. საუნივერსიტეტო საზოგადოების) წინაშე ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა. რიგ სფეროებში ეს ვითარება უნივერსიტეტებისთვის მაღალი ავტონომიის მინიჭების პარალელურად განსაკუთრებული საფრთხის შემცველია.

კონსტიტუციის არსებული რედაქცია ზოგადია და პირდაპირ არ მიუთითებს უნივერსიტეტების ავტონომიასა და აკადემიურ თავისუფლებაზე, ხოლო კანონით გათვალისწინებული დებულებები მათი რეალიზების მაღალ გარანტიებს ქმნის.

აკადემიური თავისუფლების გარანტიების შექმნის მიზნით კანონი განსაზღვრავს უნივერსიტეტის თვითმმართველობის მხოლოდ ზოგად ჩარჩოს და თვითმმართველობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების პასუხისმგებლობა უნივერსიტეტებზეა დელეგირებული. თუმცა, უნივერსიტეტების წესდებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, რიგ შემთხვევებში, ეს უფლებამოსილება არ არის ეფექტურად რეგლამენტირებული. ამასთან, ავტორიტარული მართვის პირობებში საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ უნივერსიტეტის მართვა ფაქტობრივად შეზღუდულია.

აკადემიური თავისუფლების რეალიზების გარანტიები არც თენუარის ან სხვა ანალოგიური მექანიზმების საშუალებით არის შექმნილი.

1.2 უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა

2004 წელს უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სისტემა საქართველოში არსებითად შეიცვალა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა უნივერსიტეტების პირდაპირი წესით დაფინანსების ჩანაცვლებას სტუდენტზე მიბმული დაფინანსებით. ცვლილებების განხორციელების დროს სისტემის შეცვლის მიზანი იყო უნივერსიტეტებში სტუდენტების მიღების, უმაღლეს სასწავლებლებზე სახელმწიფო თანხების განაწილებისა და განკარგვის პროცესებში არსებული კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა.

სახელმწიფომ თანდათან მინიმუმამდე დაიყვანა უმაღლესი სასწავლებლების პირდაპირი დაფინანსება და თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა იგი სტუდენტების დაფინანსებით. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მსგავსება შეინიშნება ევროპის ქვეყნებში დაფინანსების არსებულ სისტემასთან, რომელშიც უნივერსიტეტების დაფინანსების ფორმულის უმთავრეს კომპონენტს

სასწავლებელში სტუდენტების რაოდენობა წარმოადგენს, დაფინანსების ეს მექანიზმი მაინც საგრძნობლად განსხვავებულია. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მიერ თითო სტუდენტზე გაცემული თანხა ფარავს მხოლოდ ე.წ. სწავლების საფასურს. გარდა ამისა, სახელმწიფო გასცემს დაფინანსებას არა სტუდენტთა რაოდენობის, არამედ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. დანარჩენმა სტუდენტებმა კი სწავლების საფასური თავად უნდა დაფარონ.

ამჟამად როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიოში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა სახელმწიფო დაფინანსებაზე ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად დამოკიდებულ სისტემას წარმოადგენს. თუ აქვე გავითვალისწინებთ სახელმწიფო დაფინანსების სიმწირეს, მდგომარეობის სირთულე ცხადი გახდება.

საქართველოში განათლების სახელმწიფო დაფინანსება სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებთან შედარებით 2000-იან წლებში ნაკლებად გაიზარდა. საკუთრივ უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების დინამიკიდან ჩანს, რომ ჯამური დაფინანსების წილმა 2000-2005 წლებში ოდნავ იმატა, მაგრამ უკანასკნელ წლებში ისევ შემცირდა. კლება განსაკუთრებით საგრძნობი იყო კვლევების მიმართულებით. 2005 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2011 წელს მშპ-ში კვლევის დაფინანსების წილი ორჯერ შემცირდა.

საქართველოში, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში, ადგილი ჰქონდა უმაღლეს განათლებაზე დანახარჯების უპრეცედენტო პრივატიზაციას. კერძო დანახარჯების წილი მაღალია როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტებში. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა იხდის გადასახადს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სასწავლებლებში. საქართველოში სწავლის სრულ საფასურს სულ 64% იხდის, აქედან 49% სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებზე, ხოლო 15% კერძო უმაღლეს სასწავლებლებზე მოდის. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში კიდევ დაახლოებით 25% ნაწილობრივ იხდის სწავლის გადასახადს, მაშინ საქართველოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორისაც კი სწავლის საფასურის გადამხდელი სტუდენტების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს.

სახელმწიფო დაფინანსების ასეთმა სიმცირემ, შესაძლოა, მკვეთრად უარყოფითი შედეგები გამოიღოს როგორც უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის, ისე მისი ხარისხის თვალსაზრისით. დაფინანსების სიმწირე ხელს უშლის უნივერსიტეტებში ხარისხის გაუჯობესებას – არსებული მწირი რესურსები ძირითადად პერსონალის ანაზღაურებასა და მიმდინარე ხარჯებზე მიდის. რაც შეეხება ხელმისაწვდომობას, საქართველოში უმაღლესი განათლების დაფინანსების ტვირთი ძირითადად კერძო პირებს – სტუდენტებსა და მათ ოჯახებს აწევთ. სტუდენტთა დაფინანსების ამჟამად არსებული სისტემის პირობებში კი სახელმწიფო, დიდი ალბათობით, აფინანსებს ფინანსურად უკეთ უზრუნველყოფილ სტუდენტებს.

რაც შეეხება სოციალური საჭიროების საფუძველზე დაფინანსებას, ამაზე, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად, სულ სასწავლო გრანტების 6-დან 10 %-მდე გამოიყოფა. ამ დაფინანსების მიღება შეუძლიათ ომში დაღუპულთა შვილებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სტუდენტებს, მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის ზონებში მცხოვრებთ და ა.შ. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ამ კატეგორიაზე გამოყოფილია სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობა და დადგენილების თანახმად, თუკი თითოეულ კატეგორიაზე გამოყოფილი ადგილების რაოდენობაზე მეტი კონკურენტია, დაფინანსება კვლავ მერიტოკრატიულ საფუძველზე გამოიყოფა. ასე მაგალითად, 2012-2013 აკადემიური წლისთვის განსაზღვრულია 488 სტუდენტის სწავლის საფასურის ნაწილობრივი ან სრული დაფინანსება.

როგორც ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, ყველაზე მაღალ ქულებს გამოცდებში იღებენ თბილისში მცხოვრები აბიტურიენტები, მათ მოსდევენ სხვა დიდი ქალაქებისა და ბოლოს სოფლებისა და პატარა ქალაქების მკვიდრნი. შესაბამისად ნაწილდება დაფინანსებაც.

საქართველოში სტუდენტთა დაფინანსების უმთავრეს მექანიზმს წარმოადგენს ერთ სტუდენტზე გათვლილი დაფინანსება. სასწავლო გრანტის უდიდესი წილი გაიცემა მერიტოკრატიულ საფუძველზე - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების შედეგად.

ამჟამად საქართველოში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის დაახლოებით მხოლოდ 25%-ია ჩართული უმაღლეს განათლებაში. შინამეურნეობების მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩართულობის მაჩვენებლის მიხედვით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი. ჩართულობის ინდიკატორი მჭიდროდაა დაკავშირებული ოჯახის ეკონომიკურ პირობებთან, რეგიონთან, საცხოვრებელ ადგილსა და ეთნიკურ მიკუთვნებულობასთან.

უნივერსიტეტების მწირი დაფინანსების პირობებში საუნივერსიტეტო კვლევების წარმოების ერთადერთ გზას კვლევითი გრანტების მოპოვება წარმოადგენს. სახელმწიფოსგან კვლევისთვის დაფინანსების მიღების ძირითადი საშუალებაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ჩატარებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღებაა.

სამეცნიერო საგრანტო კონკურსებს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ატარებს ცენტრალიზებულად, დამოუკიდებელი სამეცნიერო საბჭოს მეშვეობით და, შესაბამისად, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა მაქსიმალურადაა შესაძლებელი. თუმცა, სამეცნიერო კვლევების ექსკლუზიურად ცენტრალიზებული საგრანტო კონკურსების გზით დაფინანსების უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით დაწესებულებებს კვლევის დაფინანსების მოსაპოვებლად უწევთ საკუთარი კვლევითი ინტერესების ადაპტირება.

1.3 სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, პირველ და მეორე საფეხურზე კვლევითი ნაშრომების განხორციელების აუცილებლობითა და მესამე - სადოქტორო საფეხურის შემოღებით შეიქმნა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაახლოების სამართლებრივი საფუძველი. დოქტორანტურა გახდა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლი და ჰუმბოლდტის იდეის განხორციელების მთავარი წინაპირობა. დოქტორანტის კავშირი განათლებასა და მეცნიერებასთან აისახება, ასევე, მის ორმაგ სტატუსში: სტუდენტი და დამწყები მკვლევარი.

ბოლონის პროცესის 2003 წლის ბერლინის სამიტზე ევროპამ სადოქტორო განათლება უმაღლესი განათლების სისტემის ნაწილად და მის მესამე საფეხურად აღიარა. ამ პროცესის ფარგლებში 2005 და 2010 წლებში შემუშავდა ზალცბურგის სადოქტორო განათლების რეფორმირების პრინციპები და რეკომენდაციები, რომლებიც საქართველოს რეალობაში მხოლოდ ნაწილობრივად განხორციელებული.

კერძოდ:

მოქნილი სტრუქტურისა და მრავალფეროვნების მიმართულებით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. კანონი არ ზღუდავს საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებას, რამაც შესაძლებელია სადოქტორო სკოლის ან მულტი/ინტერდისციპლინური სადოქტორო ცენტრის სახე მიიღოს. კანონი, ასევე, იძლევა საუნივერსიტეტო/ინტერდისციპლინური დაცვის საბჭოების არსებობის საშუალებას; კანონით დაშვებულია ერთობლივი პროგრამების განხორციელება. თუმცა, დოქტორანტების მობილობა გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამის ფარგლებში კანონქვემდებარე აქტებით იმგვარადაა დარეგულირებული, რომ ინტერნაციონალიზაციისთვის სერიოზულ დაბრკოლება იქმნება.

სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტი არ ასახავს ზალცბურგის პრინციპებს. მოქმედი სტანდარტით, არ ჩანს კავშირი დოქტორანტის მომზადებასა და საუნივერსიტეტო მეცნიერებას შორის. უფრო მეტიც, აკრედიტაციისთვის გამოიყენება ზუსტად იგივე მიდგომები და კრიტერიუმები, რომლებიც უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურისთვის. დოქტორანტურის განხორციელებისთვის აკრედიტაცია არ ითვალისწინებს უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევას, რომლის მონაწილეც გახდებოდა დოქტორანტი. უსდ-ების დიდმა ნაწილმა უნივერსიტეტის სტატუსის მისაღებად მარტივად შემოიღო მათთვის უჩვეულო მესამე საფეხური. სადღესოდ უნივერსიტეტის სტატუსი არაა სამეცნიერო კვლევების განხორციელების გარანტი და სადოქტორო პროგრამებიც იშვიათად ხორციელდება დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფარგლებში.

ამავე დროს კანონმდებლობით აკრძალულია პროფესიული (ანუ პრაქტიკაზე დაფუძნებული) დოქტორანტურა. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში

პროფესიული განათლება განიხილება უმაღლეს განათლებაზე დაბლა მდგომ განათლებად. შეუძლებელია თეორიული და პრაქტიკაზე ორიენტირებული სადოქტორო პროგრამებისთვის (ბიზნესი, არქიტექტურა, საშემსრულებლო მიმართულებები და ა.შ.) ერთი და იმავე კრიტერიუმების შემოღება.

დოქტორანტიურის დაფინანსება სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი გრანტის საფუძველზე უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 83-ე მუხლითაა გათვალისწინებული. დოქტორანტების დაფინანსების საკითხი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პირველად მიმდინარე წელს გადაწყდა. დოქტორანტთა დაფინანსება აშკარად დადებითი ფაქტია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამით არაა გათვალისწინებული დოქტორანტების სტიპენდიებით დაფინანსება და მინისტრის ბრძანებით თანხები ჯერჯერობით მხოლოდ 2 წელიწადზეა გათვლილი. 2008-2012 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაზე გამოყოფილი თანხები მცირდება როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით მაჩვენებლებში, ხოლო ამ ფონზე იზრდება დოქტორანტთა რაოდენობა. 2012 წელს 2008 წელთან შედარებით იგი თითქმის გაორმაგდა (3040 და 1588), მაშინ როდესაც მშპ-თან დაკავშირებით მეცნიერების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 0,16%-დან 0,07%-მდე შემცირდა, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მეცნიერების ჯამურმა დაფინანსებამ 0,28%-დან 0,13%-მდე იკლო. კანონმდებლობა მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას. ამასთან, კანონმდებლობის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხდება გაორმაგებული ძალისხმევით:

- მეცნიერებათა აკადემია “იხილავს და აფასებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებსა და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერების განვითარების ფონდებს”;
- უმაღლესი განათლების კანონის თანახმად, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას, რომელსაც ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.

უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ძირითადად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესრულებით არიან დაკავებული. აკრედიტაციის თვითშეფასების ფორმა კი ითვალისწინებს მხოლოდ სასწავლო საქმიანობის შეფასებას. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ძირითადად არ ახორციელებენ როგორც პროფესორების კვლევითი საქმიანობის, ისე სამეცნიერო ერთეულების საქმიანობის შეფასებას.

სახელმწიფო დონეზე არ არსებობს უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმები. ზოგიერთ

უსდ-ს აქვს აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარი, თუმცა გაურკვეველია, რაში გამოიყენება თვითშეფასების შედეგები.

საქართველოში სამეცნიერო კვლევების დაფინანსება სახელმწიფოს ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე ხორციელდება ორდონიანი სისტემით:

- ექსპერტთა შეფასებაზე დაფუძნებული საკონკურსო - საგრანტო სისტემით. მეცნიერების განვითარების კონკურენტული გარემოს შექმნისა და სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით შექმნილია ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
- საბიუჯეტო (ბაზური) დაფინანსებით.

დამატებით, "... ექსპერტიზის საფუძველზე სამეცნიერო კვლევის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში აგრეთვე შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ სახელშეკრულებო წესითა და კონკურსით".

მეცნიერების დაფინანსების ძირითადი წყარო - სამეცნიერო ფონდის გრანტები, ძალიან მწირი ფინანსური საშუალებები (2012 წ. 13,5 მლნ. ლარი), გათანაბრების პრინციპით ნაწილდება (მაგ., წელიწადში 50 ათასი ლარი ფუნდამენტური კვლევების ნებისმიერი მიმართულების ერთ პროექტზე).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არ არსებობს მეცნიერებასთან დაკავშირებული სრული და სანდო სტატისტიკური ინფორმაცია. არა მარტო გაურკვეველია, მშპ-ს რა ნაწილი იხარჯება მეცნიერებაზე, არამედ მეცნიერებაზე ზუსტი საბიუჯეტო დანახარჯების განსაზღვრაც კი გართულებულია მას შემდეგ, რაც კვლევითი დაწესებულებები შეუერთდნენ უნივერსიტეტებს (2012 წლის მონაცემებით უმაღლეს განათლებასა და უსდ-ში განხორციელებულ კვლევაზე ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის 1.8%, ხოლო მშპ-ს 0.5% იყო გამოყოფილი).

მეცნიერების ძალიან დაბალი საბაზო დაფინანსებისა და მოძველებული სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის ფონზე სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის მოპოვება სამეცნიერო პერსონალისთვის არის არა მარტო მცირე ხელფასის გაზრდის მთავარი წყარო, არამედ თანამდებობის შენარჩუნების პირობაც კი.

შედარებისათვის: 2012 წ. საქართველოში სსიპ უსდ-ისა და მეცნიერების დაფინანსება - 33,2 მლნ ლარი (13,48 მლნ. ლარი სამეცნ. გრანტი +1,59 მლნ. ლარი კვლევა-საბაზო + 18,07 მლნ. ლარი უსდ/კვლევა-საბაზო) დაახლოებით 5-ჯერ ნაკლებია ბრიუსელის ფლანდრიულ უნივერსიტეტში მხოლოდ კვლევების დაფინანსებაზე (75 მლნ. ევრო) და დაახლოებით 2-ჯერ აღემატება გერმანიაში უნივერსიტეტის ერთი ექსპლენს კლასტერის დაფინანსებას (6,5 მლნ. ევრო).

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესისა და მეცნიერების 19,7 მლნ. ლარით საერთო საბაზო დაფინანსება ნიშნავს, რომ ქვეყანაში მეცნიერება ფაქტობრივად არ ფინანსდება და მხოლოდ 13,5

მლნ. ოდენობის საგრანტო დაფინანსება ხელს ვერ შეუწყობს მეცნიერების სტაბილურ განვითარებას.

მწირი დაფინანსების ფონზე გასაგებია, რომ დაბალია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებელი. Web of Science-ის ბაზაში 1997-2007 წლებში ზოგადი მისამართით Tbilisi/Tiflis ფიქსირდება როგორც უსდ-ების, ასევე კვლევითი ინსტიტუტების მიერ ყველა მიმართულებით გამოქვეყნებული 10.524 სტატია, ქუთაისიდან - 69, ბათუმიდან - 55, გორიდან - 13 და თელავიდან - 9 სტატია.

1.4 უმაღლესი განათლება და დასაქმება

უმაღლესი განათლებისა და სამუშაო ბაზრის ურთიერთმიმართების შესახებ ინფორმაცია საქართველოში დღეისათვის ძალიან მწირია. ამ დეფიციტს, პირველ რიგში, განაპირობებს ის, რომ ეროვნულ დონეზე არ არსებობს სისტემური მიდგომა ბაზრისა და განათლების სიტემის ურთიერთკავშირის ანალიზისათვის - საჭირო ცვლადები არ არის ინტეგრირებული ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტებში, როგორებიცაა მოსახლეობის აღწერის კითხვარები, შინამეურნეობის კვარტალური კვლევის ინსტრუმენტები. არ არის გააზრებული მონაცემების თავსებადობისა და აგრეგირების სტრატეგია, სამინისტროს შიგნით ან მის გარეთ არ არსებობს უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ ტიპის მონაცემების ანალიზზე, არ არის განსაზღვრული უმაღლესი განათლების პოლიტიკის ფორმირებაში ამ ინფორმაციის ინტეგრირების სტრატეგია.

კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმებისა და შემოსავლების შესახებ მონაცემები სისტემურად არც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე გროვდება. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტი ავალდებულებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მოარგონ პროგრამები ბაზრის მოთხოვნებს, სტანდარტის შესაბამისი პუნქტების შესრულების ინდიკატორები და გადამოწმების წყაროები ბუნდოვანია, არ არის საკმარისად დეტალიზებული თვითშეფასებისა და გარე შეფასების ინსტრუმენტებში და, შესაბამისად, არ იძლევა ამ კუთხით მდგომარეობის სრულად და ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას როგორც მთლიანად უმაღლესი სასწავლებლის, ისე ცალკეული პროგრამების დონეზე.

უახლესი კვლევები სამუშაო ბაზრისა და უმაღლესი განათლების ურთიერთმიმართების შესახებ შემდეგი ზოგადი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. ეს დასკვნები, ძირითადად, ემთხვევა ევროპაში შექმნილ სურათსა და გამოწვევებს:

1. 2013 წლის მონაცემებით, უმაღლესი განათლება საქართველოში შემოსავლებისა და დასაქმების მაჩვენებლების ზრდის მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს.

- უმაღლესი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალი დაქირავებული შრომიდან მხოლოდ ზოგადი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალზე თითქმის ორჯერ მაღალია.

- სქესის, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების პირობებში, უმაღლესი განათლების მქონე პირის დასაქმების შანსები მხოლოდ საშუალო განათლების მქონე პირთან შედარებით 2-ჯერ იზრდება, ხოლო დაქირავებით დასაქმების ალბათობა - თითქმის 5-ჯერ.
- მაგისტრატურის დამთავრება უმაღლესი განათლების მქონე პირს არ უზრუნველყოფს სახელფასო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნამატით, თუმცა მაგისტრის დიპლომის მქონე პირის დასაქმების შანსები 70%-ით მაღალია ბაკალავრის დიპლომის მქონე პირთან შედარებით. შესაბამისად, საქართველოში მაგისტრატურა არა შემოსავლის, არამედ დასაქმების ალბათობის გაზრდის საშუალებაა.
- უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების ამოღება საქართველოში დაახლოებით დროის იმავე მონაკვეთში ხდება, რაც ანალოგიური შემოსავლის მქონე ევროპის სხვა ქვეყნებში.

2. დასაქმებიდან შემოსავლების საშუალო მაჩვენებლები ისევე, როგორც დასაქმების ალბათობა, მნიშვნელოვნად განსხვავდება სქესისა და უმაღლესი განათლების მიმართულებების მიხედვით.

- უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცების დასაქმების ალბათობა 1.2 -ჯერ უფრო მაღალია უმაღლესი განათლების მქონე ქალების დასაქმების ალბათობასთან შედარებით. საგულისხმოა, რომ სქესის ნიშნით ეს განსხვავება გამოთვლილია განათლების სფეროს/სპეციალიზაციის გათვალისწინებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საინჟინრო სფეროში ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ ქალის დასაქმების ალბათობა უფრო დაბალი რჩება, ვიდრე მამაკაცების.
- სქესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემოსავლებზე. ეს გავლენა რჩება მაშინაც, როცა ერთმანეთს ვადარებთ ერთსა და იმავე სფეროში განათლებამიღებულებს. მაგალითისათვის, თუ ქალს და კაცს მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით და კვლევაში გათვალისწინებული ყველა მახასიათებელი აქვთ მსგავსი (მაგალითად, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი), მამაკაცის ხელფასი საშუალოდ 176 ლარით მეტია ქალის ხელფასზე.
- ბიზნესისა და ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით დიპლომის მფლობელთა დასაქმების შესაძლებლობები ჰუმანიტარული მეცნიერებების კურსდამთავრებულების შესაძლებლობებთან შედარებით 1.3 – 1.4-ჯერ მაღალია.
- ბიზნესის და საინჟინრო მიმართულებების კურსდამთავრებულთა შემოსავალი დაქირავებული შრომიდან ჰუმანიტარული მეცნიერებების კურსდამთავრებულთა შემოსავალთან შედარებით უფრო მაღალია.

3. უმაღლესი განათლების უკუგების შემდგომი ზრდისთვის შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე პირთა კომპეტენციების ბაზრის მოთხოვნებთან ნაკლები თავსებადობა და თვითდასაქმების დაბალი მაჩვენებლები.

- საქართველოში უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე დასაქმებულ პირთა შორის საკუთარი სპეციალობით დაახლოებით 60% მუშაობს, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მასშტაბით უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ მეოთხედია დასაქმებული საკუთარი სპეციალობით.
- დასაქმებულთა შორის სპეციალობით მომუშავეთა წილი მიმართულებების მიხედვით, აგრეთვე, მნიშვნელოვნად განსხვავდება. ყველაზე დაბალი იგი საინჟინრო მიმართულებაზეა.
- აღსანიშნავია, რომ სპეციალობით დასაქმებულთა წილი მნიშვნელოვნად მაღალია მაგისტრატურადამთავრებულთა შორის (ბაკალავრიატთან შედარებით). მაგისტრატურა ამ თვალსაზრით პროფესიული რეორიენტაციისა და ბაზარზე ორიენტირების ინსტრუმენტს წარმოადგენს.
- სხვადასხვა კვლევის ფარგლებში გამოკითხულ დამსაქმებელთა დაახლოებით ნახევარი ფიქრობს, რომ კურსდამთავრებულთა კომპეტენციები არ შეესაბამება მათ მოთხოვნებს.
- საქართველოში ისევე, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდათა შორის თვითდასაქმებულთა წილი დაბალია, რაც ხელს უშლის ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

4. უმაღლესი განათლება საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობის გათანაბრების პოტენციურად ეფექტური ინსტრუმენტია, თუმცა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა დღეისათვის კვლავ შეზღუდული რჩება მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

- უმაღლესი განათლების დამატებითი საფეხური (მაგისტრატურის სახით) უფრო მეტად ზრდის დასაქმების შანსებს, ვიდრე ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ისეთი მახასიათებელი, როგორცაა მშობლის განათლება. უმაღლესი განათლების მქონე პირთა დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლის ოდენობაში მშობლის განათლების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არის.
- უმაღლესი განათლების მქონე პირთა პირადი შემოსავლები დაქირავებული შრომიდან არ განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორი იყო პირის ოჯახის საშუალო შემოსავალი უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების მომენტისათვის.
- ყველაზე ღარიბი მოსახლეობის ჯგუფში უმაღლეს განათლებაში ჩართულობის მაჩვენებელი 9%-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე მდიდარი მოსახლეობის ჯგუფში - 38%-ს. უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდათა წილი გაცილებით მაღალია იმ ოჯახების

ჯგუფში, სადაც ოჯახის უფროსსაც უმაღლესი განათლება აქვს მიღებული (73%), ვიდრე იმ ოჯახებში, სადაც ოჯახის უფროსს მხოლოდ ზოგადი განათლება აქვს (18%).

1.5 ხარისხის უზრუნველყოფა

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე უზრუნველყოფის აუცილებლობა განისაზღვრა საკანონმდებლო დონეზე (2004), რამაც ბიძგი მისცა მთელ რიგ პოზიტიურ ცვლილებებს, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში პროცესები საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემა ამჟამად გულისხმობს ავტორიზაციასა და აკრედიტაციას.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ავტორიზაცია არის „უსდ-ს სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა“; ხოლო აკრედიტაცია არის „აკრედიტაციის სტანდარტებთან უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება“.

უსდ-ების ავტორიზაცია ხდება სამი ძირითადი სტანდარტის მიხედვით: (1) უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები, (2) მატერიალური და (3) ადამიანური რესურსები. გარდა ამისა, თითოეული სტანდარტი შედგება ერთგვარი ქვესტანდარტებისგან, რომლებიც შეეხება: სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებს (ფართს, ინვენტარს, ბიბლიოთეკას და სხვ.), საქმის წარმოებას, პერსონალის მართვასთან, სასწავლო-სამეცნიერო პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, საგანმანათლებლო პროგრამების ფორმალურ და შინაარსობრივ საკითხებს, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას და სხვ.

დღეისათვის ავტორიზაცია რეალურად არ წარმოადგენს ხარისხის განვითარების მექანიზმს და ქართული აკადემიური საზოგადოების მიერ მოიაზრება უფრო ხშირად სადამსჯელო ღონისძიებად, ცალკეულ შემთხვევებში მეტისმეტი სიხისტის, არაერთგვაროვანი მიდგომებისა თუ არაგამჭვირვალობის გამო.

ავტორიზაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ნაწილი გამოთქვამს შენიშვნებს, რომლებიც შეეხება მის შინაარსსა და მიზანდასახულობას. კერძოდ, ავტორიზაცია არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეძლევა ფუნქციონირებისა და

სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის მინიჭების უფლება, მაგრამ ავტორიზაცია თითქმის არ ითვალისწინებს დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების შეფასებასა და ხელშეწყობას (თუმცა, თეორიულად ის უსდ-ს მისიაზეა ორიენტირებული), ანუ ხარისხის გარე უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი - ინსტიტუციური განვითარების სტიმულირება - საქართველოში მხოლოდ ნაწილობრივ მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტების გარკვეული ნაწილი უარყოფითად აფასებს უსდ-ების მიერ დაფინანსების უფლების მოპოვებას პროგრამული აკრედიტაციის საფუძველზე, რადგან აღნიშნულმა პროცესმა შეიძინა ფორმალური ხასიათი და ვერ იქცა ხარისხის განვითარების რეალურ მასტიმულირებელ ძალად, რასაც შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებიც ცხადყოფს. 2011-2013 წლებში აკრედიტაცია მიენიჭა 1267 საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო აკრედიტაციაზე უარი ეთქვა მხოლოდ 40-ს. აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა (აკრედიტაციასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებზე რომ აღარაფერი ვთქვათ), განათლების ხარისხის განვითარების ცენტრიდან და, ზოგადად, საქართველოს ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ვადების საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ხარისხთან დაკავშირებულ საფუძვლიან ეჭვს ბადებს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ხარისხის (შიდა) უზრუნველყოფას როგორც ინსტიტუციურ, ისე საფაკულტეტო დონეზე უნდა გააჩნდეს შემდეგი ფუნქციები:

- უსდ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რომელშიც უნდა მონაწილეობდნენ აგრეთვე ამ დაწესებულების სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის;
- ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნებსა და მათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კავშირის დამყარება და თანამშრომლობა;
- სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) დანერგვა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისთვის თვითშეფასების მომზადება.

საქართველოში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი მიღწევებისა და ნაკლოვანი მხარეების შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

- მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფა, როგორც ცნება და როგორც პროცესი, უკვე დამკვიდრდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ჩვეულებრივ, საჯაროა და ყველასათვის ხელმისაწვდომია უსდ-ების ვებგვერდებზე;

- სისტემის მიღწევას წარმოადგენს სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მოწესრიგება, თუმცა ისინი მუდმივად საჭიროებენ განვითარებასა და სრულყოფას (ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მუდმივი პროცესია, რასაც ყველა მხარე უნდა აცნობიერებდეს);
- სილაბუსებსა და საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მოთხოვნები ხშირად იცვლება, რაც განპირობებულია ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელებული ხშირი ცვლილებებით (ეს განსაკუთრებით აქტუალური იყო 2005-2010 წლებში);
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა, აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილის შეფასებით, ცალკეულ შემთხვევებში ლახავს მის აკადემიურ თავისუფლებას, რისი პრევენციაც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით უნდა განხორციელდეს;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა უფრო მეტად კონცენტრირებულია ფორმალური მხარეებისა და დოკუმენტების შემოწმებაზე და ნაკლებ ყურადღებას უთმობს შინაარსის, რეალური შედეგებისა და პროცესების შეფასებას;
- სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები ყოველთვის არ არის პროფესიონალების მიერ შედგენილი და არც გამოკითხვის შედეგებს ექცევა ჯეროვანი ყურადღება;
- თითქმის არ გამოიყენება ან სათანადო შედეგებს არ იძლევა აკადემიური პერსონალის მიერ ერთმანეთის კოლეგიალური შეფასება;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა შემოიფარგლება, ძირითადად, სწავლებით და ნაკლებ ყურადღებას უთმობს კვლევას;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესში თითქმის არ არის გაანალიზებული სტუდენტების აკადემიური მოსწრება, რაც ბევრ ევროპულ ქვეყანაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს;
- ნაკლები ყურადღება ეთმობა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებასა და ამაღლებაზე ზრუნვას;
- აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები არ გამოიყენება აკადემიური კონკურსების პროცესში;
- არასაკმარისია თანამშრომლობა უცხოეთის უსდ-ებთან ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით;
- სტუდენტები და აკადემიური პერსონალი არასაკმარისად არიან ჩართული შეფასების პროცესებში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია ხშირად მხოლოდ ფორმალურად არსებობს და რეალურად არ ხორციელდება;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები თანამშრომლობენ ხარისხის ცენტრთან, თუმცა სასურველია ამ თანამშრომლობის გაღრმავება;
- უსდ-ები არასაკმარის ფინანსურ რესურსებს ხარჯავენ ხარისხის შიდა უზრუნველყოფისათვის აუცილებელი კვლევების ჩასატარებლად;
- თითქმის არ ტარდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესების ინტერნაციონალიზაცია;

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაცია ხშირად არ არის საკმარისი მათ წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად (ეს განსაკუთრებით შეეხება დასავლური საგანმანათლებლო სტანდარტებისა და უმაღლესი განათლების განვითარების თანამედროვე ტენდენციების ცოდნას).

ხარისხის გარე უზრუნველყოფის არსებული სისტემის პირობებში საინტერესოა ავტორიზებული უსდ-ების რაოდენობის დინამიკის განხილვა: 119 (2005 წ.) – 43 (2010 წ.) – 64 (2013 წ.). აღიარებული უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის ზრდა განპირობებულია როგორც თავად დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების უფრო მაღალი ხარისხით, ისე შეფასების პროცესის ცალკეული ხარვეზებით.

უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ ერთ-ერთ პრობლემად მიჩნეული იქნა ქართული უსდ-ების მიმართ ნდობის სიმცირე, ხოლო ამ პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთ პერსპექტიულ საშუალებად კი დასახელდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ინტერნაციონალიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია როგორც ხარისხიანი უმაღლესი განათლების გარანტი.

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი რეკომენდაციები: ა) ფორმალურად ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, მაგრამ საჭიროა აქტივობათა შინაარსობრივი გააზრება და ხარისხის რეალური კონტროლი; ბ) საჭიროა უნივერსიტეტების ავტონომიურობის ზრდა ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების პროცესში.

II. ძირითადი პრობლემები

უმაღლესი განათლების სისტემის ზოგადი და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სისტემის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების ხედვისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის/გეგმების არარსებობა, სამართლებრივი დებულებების/ურთიერთობების მყისიერი და ხშირი ცვლა, მათი არაეფექტური რეგულირება.

პრობლემას წარმოადგენს კვლევებისა და ღრმა და სანდო სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობილი ანალიზის ნაკლებობა. შესაბამისად, ფრაგმენტული და ნაკლებეფექტურია სისტემის განვითარების ამჟამინდელი პოლიტიკა.

უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემაა სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული უნივერსიტეტებისათვის უფლებამოსილებების კანონით არაერთგვაროვანი რეგლამენტაცია, შესაბამისად, განსხვავებულია მათი ავტონომიის დონეც. გაცილებით ფართო შეზღუდვებია დაწესებული სსიპ-ების შემთხვევაში, ხოლო კერძო უნივერსიტეტები ყველაზე ნაკლები შეზღუდვების პირობებში ფუნქციონირებენ, რაც უნივერსიტეტების თავისუფალი კონკურენციის პირობებში მათი მოქმედებაში ყოფნის/საკუთარი დანიშნულების შესრულების არსებით ბარიერად უნდა იქნეს განხილული. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტების სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა/ცვლილება არ უნდა უკავშირდებოდეს ამა თუ იმ მმართველი პოლიტიკური ძალის გემოვნებას/ინტერესებს.

გარდა ფინანსური სახსრების საერთო სიმწირისა, როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტებისათვის, უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებული სისტემის მთავარი უარყოფითი მხარეა მისი ექსკლუზიურობა – რადგან სახელმწიფო გრანტი სწავლების გადასახადს ფარავს, დაფინანსების მოცულობის გაზრდა ასევე გამოიწვევს სწავლების გადასახადის გაზრდას. გარდა ამისა, ასეთი მექანიზმით დაფინანსება იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან მოთხოვნად პროგრამებზე მიწოდების მოცულობის ზრდას და, პირიქით, ნაკლებად პრესტიჟული პროგრამებზე მიწოდების შემცირებას. კიდევ ერთ პრობლემას, რომელსაც დაფინანსების არსებული მექანიზმი ქმნის, წარმოადგენს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა: კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტთა წილი სტუდენტთა მთლიან რაოდენობაში დაახლოებით იგივეა, რაც საჯარო უმაღლეს სასწავლებლებში. შესაბამისად, სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად ისინი სახელმწიფოსგან დაახლოებით იმავე ოდენობის დაფინანსებას იღებენ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბაზო დაფინანსების შემცირებისა და, ფაქტობრივად, გაუქმების პირობებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოსგან დაფინანსების მიღების ერთადერთ საშუალებას. ამასთან, რადგან კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საჯარო დაწესებულებებისაგან განსხვავებით, შეუძლიათ

ნებისმიერი მოცულობით სწავლების საფასურის დაწესება, მათი საერთო შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება საჯარო დაწესებულებების შემოსავლებს.

ხარისხიანი კვლევის ნაკლებობა, რაც აისახება საერთაშორისო გრანტებისა და პუბლიკაციების ძალიან მცირე რაოდენობაში, წარმოადგენს დოქტორანტურის უმთავრეს პრობლემას. თავის მხრივ, ეს განპირობებულია როგორც კვლევის დაფინანსების სიმწირით, ასევე კვლევითი პოტენციალის შეფასების მექანიზმების არარსებობით: აკრედიტაციის არსებული სტანდარტი ხელს არ უწყობს სადოქტორო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებას. მდგომარეობას ასევე ართულებს ხისტი კანონმდებლობა, რომელიც რიგ შემთხვევებში სადოქტორო განათლების ინტერნაციონალიზაციისთვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს.

აკადემიურ და დასაქმების სფეროებს შორის რეალური კავშირის არარსებობა სერიოზული პრობლემაა, როდესაც საქმე უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა დასაქმებას ეხება. დიალოგი შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან სპორადულ ხასიათს ატარებს და უფრო პირადი ინიციატივის შედეგია, ვიდრე გააზრებული ინსტიტუციური პოლიტიკისა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ფორმალურად შემუშავებული და ამოქმედებულია, მაგრამ სწორედ ეს ფორმალურობა წარმოადგენს მთავარ პრობლემას, რასაც ემატება მცირე ქვეყნისთვის დამახასიათებელი პრობლემები: ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელი არა მარტო ფინანსური, არამედ ადამიანური რესურსების ნაკლებობა. შესაბამისად გარდაუვალია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტერნაციონალიზაცია, რაც ქართული უნივერსიტეტებისადმი ნდობის გაუმჯობესებისა და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებელი წინაპირობაა.

III რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე პროექტის ფარგლებში მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც საფუძველად უნდა დაედოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის შემუშავებას. პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება და მიღებული შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფა სოციალური სამართლიანობის საფუძველზე. დეტალური რეკომენდაციები მოცემულია საექსპერტო შეფასებებში (იხ. დანართი I).

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის განვითარება

- აუცილებელია სისტემის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების ხედვისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის/გეგმების შემუშავება ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით. სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს საკანონმდებლო ცვლილებები.
- აუცილებელია, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის საფუძველზე შემუშავდეს და, ამავე დროს, მკაფიოდ განსაზღვროს შესაბამისი ფინანსური რესურსები.
- უნდა დაიგეგმოს მშპ-თან დაკავშირებით უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების სტაბილური ზრდა.
- სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელებისათვის უნდა გაუმჯობესდეს სოციალურად დაუცველი ფენების ფინანსური მხარდაჭერის სისტემა.
- სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თანაბარი კონკურენტული გარემო, მაღალი ავტონომია და აკადემიური თავისუფლება, ასევე, ეფექტური ანგარიშვალდებულების სისტემის ფუნქციონირება.
- სწავლებისა და კვლევის ერთიანობის პრინციპის განხორციელებისათვის უნივერსიტეტებში უნდა ჩამოყალიბდეს სადოქტორო განათლების შესაბამისი სტრუქტურები (სადოქტორო სკოლები). უნდა განისაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო პრიორიტეტები და უზრუნველყოფილი იქნეს დოქტორანტურის ინტერნაციონალიზაცია მიზნობრივი დაფინანსების გზით.
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში სახელმწიფოს როლი უნდა შემოიფარგლოს ავტორიზაციის პროცესით, რომელიც სახელმწიფო დაფინანსების მიღებისა და აღიარების წინაპირობა უნდა გახდეს; პროგრამების აკრედიტაციის პროცესი კი აკადემიური საზოგადოების პასუხისმგებლობის სფეროში უნდა გადავიდეს.

სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება

- აუცილებელია, რომ სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაწეროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტატისტიკური მონაცემების მოპოვებისა და გადამუშავების სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოთხოვნებთან.
- კვლევითი საქმიანობის შეფასების გაადვილების მიზნით უნდა შეიქმნას მეცნიერების საინფორმაციო სისტემა, რომელიც თავს მოუყრის სამეცნიერო პოტენციალის შესახებ ინფორმაციას. მოკლევადიან პერიოდში გამოყენებული უნდა იქნეს შეფასების ბიბლიომეტრული მეთოდი, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში მას უნდა დაემატოს კოლეგების შეფასების კომპონენტი.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვალდებულებად უნდა განისაზღვროს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემების ყოვლისმომცველი ყოველწლიური შეფასების დოკუმენტის მომზადება და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა.
- უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტატისტიკური მონაცემები ისევე, როგორც შეფასების შედეგები, უნდა აისახოს სწავლებისა და კვლევის დაფინანსებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებში.
- უმაღლესი განათლების სუბსიდირებისას გათვალისწინებული უნდა იქნას რეალური უკუგების მაჩვენებლები აკადემიური მიმართულებების მიხედვით. პირველი რიგის ამოცანას ამ ეტაპზე წარმოადგენს საქართველოში განათლების უკუგების მაჩვენებლების შეგროვებისა და ტენდენციების მონიტორინგის სისტემის ამოქმედება.
- აუცილებელია განათლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის არსებული სისტემის სრულყოფა, კერძოდ:
 - ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოებისათვის;
 - ეტაპობრივი გადასვლა პროცესზე ორიენტირებული მიდგომიდან შინაარსზე ორიენტირებულ მიდგომაზე;
 - პირობითი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ცნების შემოტანა (ამ შემთხვევაში ავტორიზაცია-აკრედიტაცია აღარ განიხილება სადამსჯელო ინსტრუმენტად და იგი რეალურად შეუწყობს ხელს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებას);
 - ავტორიზაცია-აკრედიტაციის მკაფიო და გასაგები სტანდარტებისა და შეფასების ინდიკატორების, ასევე დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება;
 - ავტორიზაცია-აკრედიტაციის ინტერნაციონალიზაცია - შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტების ჩართვა (შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის პრევენციით);
 - ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის ან სხვა ანალოგიური საერთაშორისო წევრი ორგანიზაციების მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება გარკვეული პროცედურების შედეგად;

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გაწვევრიანება შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში (ENQA, EQAR);
- აუცილებელია ხარისხის კულტურის, კოლეგიალური შეფასების, ე.წ. peer review-ს (რეცენზირების) კულტურის დამკვიდრება აკადემიურ საზოგადოებაში, რაც საქართველოს მცირე მასშტაბისა და აგრეთვე ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებების გამო ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი პროცესი იქნება;
- ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფა უნდა შეეხებოდეს არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამებს, არამედ სამეცნიერო კვლევებსა და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებას.

ფინანსური და ინსტიტუციური მდგრადობა

- აუცილებელია უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების მთლიანი მოცულობის გაზრდა (მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში 2017 წლამდე დაფინანსება ჯამურად უნდა შეადგენდეს მშპ-ს 1–1.2 %), ხოლო 2020 წლისათვის საქართველოში მხოლოდ კვლევების დაფინანსების წილი სულ მცირე მშპ-ს 1%-ს უნდა შეადგენდეს, სხვა შემთხვევაში სერიოზული პრობლემა ექმნება როგორც სამეცნიერო კვლევას, ასევე სადოქტორო განათლებას და მომავალში არა მარტო ახალი ცოდნის შექმნა, არამედ არსებულის შენარჩუნება და გადაცემაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება (მეცნიერების დაფინანსებისათვის არსებული ევროპული ორიენტირი (მშპ-ს 3%) 2020 წლისთვის საქართველოსთვის არარეალისტურია).
- უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების მექანიზმები ეტაპობრივად უნდა შეიცვალოს: მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სასწავლო გრანტების გარდა უნდა მიიღონ სპეციალური ფორმულის საფუძველზე დაანგარიშებული ბლოკგრანტები, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების სისტემა მთლიანად ბლოკგრანტებით დაფინანსებაზე უნდა გადავიდეს. ბლოკგრანტის დასაანგარიშებლად გამოყენებული ფორმულა უნდა შედგებოდეს როგორც რესურსების, ასევე შედეგების ინდიკატორებისაგან; ფორმულა უნდა ითვალისწინებდეს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობა, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი. კვლევითი ბლოკგრანტის მოცულობა კი უნდა განისაზღვროს ისეთი პარამეტრების გათვალისწინებით, როგორებიცაა: პუბლიკაციებისა და დაცული დისერტაციების რაოდენობა, მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში და სხვა წყაროებიდან მიღებული დაფინანსება; მიღებული დაფინანსების განკარგვა თავად უსდ–მ უნდა განახორციელოს.
- უნდა გაიზარდოს სოციალური გრანტების მოცულობა; შემოღებული უნდა იქნეს დაბალპროცენტიანი გრძელვადიანი სტუდენტური სესხების სისტემა. სესხების გაცემა უნდა მოხდეს როგორც სოციალური საჭიროების, ასევე მერიტოკრატიულ საფუძველზე.

- კანონით უნდა დადგინდეს უნივერსიტეტების ავტონომიის ფარგლები და განისაზღვროს იმ ურთიერთობების ძირითადი საფუძვლები, რომლებიც უნივერსიტეტმა უნდა მოაწესრიგოს საკუთარი წესდებით. უნივერსიტეტმა თავად უნდა დაამტკიცოს საკუთარი წესდება.
- კანონის შესაბამისად, სახელმწიფო უნივერსიტეტს დააფუძნებს მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, რომლის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება უნივერსიტეტის მაღალი ავტონომია. კანონით განსაზღვრული ავტონომიის ფარგლები ერთნაირი უნდა იყოს სსიპ-ებისა და კერძო უნივერსიტეტებისათვის, რითაც უზრუნველყოფილი იქნება უნივერსიტეტების თანაბარ კონკურენტულ გარემოში ფუნქციონირება. თუ მათი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე სხვაგვარად არ არის აუცილებელი შესაბამისი ურთიერთობების მოწესრიგება, კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის შესაბამისი ურთიერთობები მოწესრიგებული უნდა იყოს კანონში ცალკე თავად.
- საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით კანონმდებლობით დარეგულირდეს აკადემიური პერსონალის მიერ მუდმივი პოზიციის დაკავების ძირითადი პრინციპები.
- კანონით უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამდებობების ჩამონათვალი და შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დანართი I საექსპერტო შეფასებები

საექსპერტო შეფასებები გამოქვეყნებულია პროექტის ვებგვერდზე:

- უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება (თ. ზაალიშვილი);
https://docs.google.com/file/d/0B3sJgE_BiBdCMmZndlZRZUkwZ2M/edit?usp=sharing
- უმაღლესი განათლების და კვლევის მართვა და ფინანსური მენეჯმენტი (ლ. ჩახაია);
https://docs.google.com/file/d/0B3sJgE_BiBdCTjFON0w5MEhSMIU/edit?usp=sharing
- კვლევისა და სწავლების ინტეგრაცია (ლ. ბაქრაძე);
https://docs.google.com/file/d/0B3sJgE_BiBdCTVBjB9YWC1jbbk/edit?usp=sharing
- უმაღლესდამთავრებულთა დასაქმება (თ. ბრეგვაძე);
https://docs.google.com/file/d/0B3sJgE_BiBdCd1lVTDNVclAtTW8/edit?usp=sharing
- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა (ი. დარჩია) .
https://docs.google.com/file/d/0B3sJgE_BiBdCMEjTMVA3X2ZBbEE/edit?usp=sharing

დანართი II ინტერვიუები

კვლევის პროცესში ჩატარდა ინტერვიუები შემდეგ ექსპერტებთან/დაინტერესებულ მხარეებთან¹:

- ზურაბ დავითაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი.
- დავით ჩომახიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
- ქეთევან ქოქრაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
- ზაზა მარუაშვილი - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი.

¹ მოცემული ანგარიში ასახავს მხოლოდ სამუშაო ჯგუფის მოსაზრებებს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს რესპოდენტების აზრისგან.

- მამუკა ბერიაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი.
- ლიკა ღლონტი² – ტემპუსის ეროვნული ოფისის კოორდინატორი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოფილი უფროსი, აკრედიტაციის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.
- ელენე ჯიბლაძე – სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორი.
- დავით კერესელიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, უნივერსიტეტ „ნიუ ვიჟენის“ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ყოფილი დირექტორი.
- მარინა ქარჩავა – თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, აკრედიტაციის საბჭოს ყოფილი წევრი.
- აბდულ კახიძე – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოფილი უფროსი, ტემპუსის ეროვნული ოფისის უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი.
- ნინო ჯავახიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი.
- ირინე დარჩია³ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
- მარიამ გერსამია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

დანართი III ფოკუს ჯგუფები

კვლევის პროცესში ჩატარდა ოთხი ფოკუს ჯგუფი შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები (ბაკალავრები)

² სამუშაო ჯგუფის ორი წევრი (ლ. ღლონტი და ი. დარჩია) ამავდროულად იყო ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპოდენტი. დოკუმენტის შესაბამისი ნაწილებს შემუშავებაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ.

³ (იხ. კომენტარი ზემოთ)

ბაკალავრიატის მე-2, მე-3 და მე-4 კურსის ცხრა სტუდენტი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (4), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (2), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1), საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (1), თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (1))

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები (მაგისტრანტები და დოქტორანტები)

9 რესპოდენტი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (7), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (1), კონსერვატორია (1)).

- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტები

ხუთი ექსპერტი, წარმომადგენდნენ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (დედაქალაქი (4), რეგიონი (1))

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები

ექვსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი (ყველა დედაქალაქიდან, სახელმწიფო უსდ (2), კერძო უსდ (4))

N.B. ბოლო ორი ფოკუს ჯგუფი (ავტორიზაცია/აკრედიტაციის ექსპერტებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროექტის „ავტორიზაცია/აკრედიტაციის ექსპერტთა გადამზადების საჭიროებების დადგენა“ ფარგლებში).